გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის №833 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №81

ქ. გურჯაანი **2021 წელი 3 სექტემბერი**

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:

ანნა კუტიბაშვილი - **კომისიის თავმჯდომარე, მერის მოვალეობის შემსრულებელი;**
წევრები:
ნინო ქაჩლიშვილი - **ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შ**
კონსტანტინე ბერიძიშვილი - **მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;**
ნატო გონგაძე - **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;**
ნანა ჭაბუკაძე - **იურიდიული სამსახურის უფროსი.**
სატენდერო კომისის აპარატის შემადგენლობა:
თამთა კვირიაშვილი - **ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის მ/შ;**
ბიჭიკო მაისურაძე - **ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.**

დღის წესრიგი:
ელექტრონული ტენდერის საშუალებით **სოფელ ჭანდარში საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოს** შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება;
კომისიამ განიხილა:
სატენდერო კომისიამ განიხილა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის #03-9021243123 მოხსენებითი ბარათი, რომლის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2021 წლის 30 ივნისის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ბაზრის კვლევის შედეგად, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 349052 ლარს. ხოლო პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით ბაზრის კვლევისას გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია, რითაც დასტურდება, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა. სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს და აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნებს. კენჭისყრის შედეგად (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) კომისიამ დაადგინა
კომისიამ დაადგინა:
1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით **სოფელ ჭანდარში საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოს** შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, სავარაუდო ღირებულებით **349052** ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვროს 60 (სამოცი) კალენდარული დღით, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - 3400 ლარი.
2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით - NAT.
3. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე: **ა. კუტიბაშვილი**

წევრები:
კ. ბერიძიშვილი

ნ. გონგაძე

ნ ჭაბუკაძე

ნ. ქაჩლიშვილი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

თ. კვირიაშვილი